



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

42

რატომ არ ესმით რუსეთის?

გიორგი ბაღრიძე

უკრაინის აზრი



2015



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
*GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES*

## **ექსპერტის აზრი**

**გიორგი ბაღრიძე**

**რატომ არ ესმით რუსეთის?**

**42**

**2015**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7961-0

რუსეთი რომ აშშ-ის, ევროპის და მათი კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურების მიმართ ცივი ომის მსგავს პოლიტიკას ახორციელებს, დასავლელი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების იმ ნაწილისთვისაც ხდება ნელ-ნელა ნათელი, ვინც წლების მანძილზე ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა. ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის ავანტიურის შემდეგ პუტინის დამცველებს სულ უფრო მეტად უჭირთ რუსეთის მიმართ „დაყვავების“ პოლიტიკის მხარდაჭერა.

საინტერესოა, რატომ დასჭირდათ დასავლელ ლიდერებს ამდენი დრო იმის დასანახად, რაც ჩვენთვის, რუსეთის მეზობლებისთვის, მრავალი წლის წინ გახდა აშკარა? ანდა კვლავაც რატომ გაისმის პუტინის აგრესიასთან დაკავშირებით დაყვავებისა და კაპიტულაციის მომხრეთა ხმები?

წინამდებარე სტატიის მიზანია ვაჩვენოთ ის შეცდომები, რომელთა გამოც დასავლეთმა ვერც რუსეთის ქეშმარიტი მიზნების ადრეული ნიშნები ამოიცნო და არც მათი გაფრთხილებები შეისმინა, ვინც ამ ნიშნებს ხედავდა. თუმცა სანამ იმის კონკრეტულ მაგალითებს განვიხილავდეთ, თუ როგორ აღმოჩნდა დასავლეთი ახალი ცივი ომის პირობებში თავისდა უნებურად, გადავხედოთ რუსეთის არასწორად აღქმის დიდხნიან გამოცდილებასა და, ასევე, ავტორიტარული მმართველობის მიმართ რუსების სიყვარულის ისტორიას. აქვე უნდა ითქვას, რომ „ლევადას“ მიერ ახლახან ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რუსების თითქმის ნახევარს არ ეუხერხულა იმის განცხადება, რომ თავისუფლებას სტაბილური ხელფასი და პენსია ურჩევნია.

რუსეთის შემსწავლელმა ისტორიკოსებმა იციან, რომ რუსული ისტორიის სანდო წყარო ცოტაა. რუსული სახელმძღვანელოების უმეტესობა მეფისა თუ საბჭოთა ცენზორების ზედამხედველობით იწერებოდა და მხოლოდ ერთ მიზანს – პროპაგანდას – ესმახურებოდა. ამგვარი პრაქტიკა პუტინის რუსეთშიც წარმატებით გრძელდება. უფრო მეტიც, ისტორია არა მხოლოდ კრემლის მითითებებით იწერება, არამედ ის რეგულარულად „სწორდება“ სამთავრობო პოლიტიკის ცვლილებების შესაბამისად, ორუელის სტილში.

მოდით, დავუბრუნდეთ დროს, როდესაც საფუძველი ჩაეყარა დასავლეთის ილუზიებს. ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში რუსეთი იშვიათად ყოფილა ის, რადაც ერთი შეხედვით წარ-

მოჩინდება. ამგვარი გაორება და მისტიფიკაცია პეტრე პირველის დროს დაიწყო, რომელმაც თავის აზიატურ ელიტას წვერი გაპარსა, ევროპული სამოსი ჩააცვა და სახელმწიფო აპარატი ევროპულ ყაიდაზე გადააკეთა – ერთი სიტყვით, რუსეთი გარეგნულად ევროპას დაამსგავსა.

მაგრამ პეტრემ არ შეცვალა ყველაზე მნიშვნელოვანი – პოლიტიკური სისტემა, დამყარებული თვითმპყრობლის და მისი მცირერიცხოვანი ელიტის ტირანულ მმართველობაზე. რაც მთავარია, ეს სისტემა რუსების აბსოლუტურ უმრავლესობას ყმების, რეალურად კი მონების, მდგომარეობაში ტოვებდა, როგორც იყო ოქროს ურდოს ან ივანე მრისხანეს დროს. პეტრემ ისინი ფეოდალების საკუთრებაში დატოვა, რომელთაც შეეძლოთ მათი ყიდვა, გაყიდვა, ძაღლებში გაცვლა ან თუნდაც მოკვლა ისე, რომ ამას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვებოდა. ასე გაგრძელდა 1861 წლამდე, როდესაც ალექსანდრე II-მ ბატონყმობა გააუქმა. წესით, ამას ალექსანდრე რუსებისთვის ყველაზე პოპულარულ ლიდერად უნდა ექცია, მაგრამ სინამდვილეში ის მოკლეს („ნაროდნაია ვოლიას“ ტერორისტებმა), ხოლო მისი ერთადერთი ძეგლი დგას არა რუსეთში, არამედ ჰელსინკიში – რუსეთის ყოფილი კოლონიის დედაქალაქში. რუსი მწერლები და კინორეჟისორები, რომლებიც თავიანთ ქმნილებებში ტრადიციულად ადიდებენ ივანე მრისხანეს, პეტრე I-ს და სტალინს, არასდროს შეხებიან რუსეთის ყველა დროის უდიდეს რეფორმატორს – ალექსანდრე II-ს.

უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე II-ის მიერ რუსებისთვის მინიჭებული შეზღუდული თავისუფლებაც მალევე დასრულდა – სტალინის კოლექტივიზაციამ ფიზიკურად გაანადგურა ახლადშექმნილი ფერმერების კლასი და გლეხი ისევ ყმის მდგომარეობაში დააბრუნა. არც დანარჩენი მოსახლეობა აღმოჩნდა უკეთეს დღეში, განსაკუთრებით ის მილიონები, რომლებსაც გულაგში უკრეს თავი და რომელთა მონური შრომით ხორციელდებოდა საბჭოთა ინდუსტრიალიზაცია.

იმას, თუ რატომ ეგუებოდა რუსი ხალხი ასეთ სისასტიკეს, კიდევ უფრო ღრმა ფესვები აქვს. რუსი ისტორიკოსები თავისი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის სათავეებს კიევის რუსეთში ეძებენ ხოლმე, მაგრამ ობიექტურმა დამკვირვებელმა შეუძლებელია არ შეამჩნიოს, რომ საუკუნეების მანძილზე რუსი მმართველე-

ბი უფრო მონღოლი დამპყრობლების პოლიტიკურ ტრადიციას მიჰყვებოდნენ. ისინი ინარჩუნებდნენ ძალადობრივ რეჟიმს, რომელიც საკუთარ მოსახლეობას – ეთნიკურ რუსებს (რომ არაფერი ვთქვათ ეთნიკურ უმცირესობებსა და ახალი მიწების მკვიდრ მოსახლეობაზე) დაპყრობილი ხალხის მსგავსად ექცეოდა.

ამავე პოლიტიკური სისტემიდან იღებს სათავეს რუსეთის ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკაც, თუმცა 1917 წლამდე რუსეთი ახერხებდა ბალანსირებას თავის ევროპულ მოკავშირეებსა და მეტოქეებს შორის.

ბოლშევიკურმა რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა. კომუნიზმმა მართლა შეაშინა მთელი ცივილიზებული მსოფლიო თავისი შორს მიმავალი და მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზნებით. საერთაშორისო სისტემის ყველაზე რთული გამოწვევა მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც მსოფლიოს ორმა უბოროტესმა რეჟიმმა – ბოლშევიკურმა რუსეთმა და ნაცისტურმა გერმანიამ ძალები გააერთიანეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გასაყოფად, რითაც ბიძგი მისცეს მეორე მსოფლიო ომის დაწყებას.

იმის წარმოდგენაც კი შემზარავია, თუ რა მოხდებოდა, საბჭოურ-ნაცისტური ალიანსი უფრო დიდხანს რომ გაგრძელებულიყო. მაგრამ ის ორ წელში დასრულდა, როდესაც ბრიტანეთში განცდილი მარცხის შემდეგ ჰიტლერი საკუთარ მოკავშირეს – საბჭოთა კავშირს – დაესხა თავს. სწორედ ჰიტლერის დამსახურებით გახდა საბჭოთა რუსეთი იძულებული დროებით დასავლეთთან შეექმნა კოალიცია.

ომში გამარჯვებამ მხოლოდ გააძლიერა კომუნისტური რუსეთი და მსოფლიოში ორიდან ერთ-ერთი სუპერსახელმწიფოს სტატუსში აიყვანა, რამაც დასავლეთთან კონფრონტაციას უკვე გლობალური მასშტაბი მისცა.

1980-იანი წლების ბოლოს კომუნიზმის მარცხმა ახალ იმედებს და ილუზიებს მისცა დასაბამი. დასავლეთი სიხარულით მიეგება დემოკრატიისა და თანამშრომლობის ახალი ხანის დაწყებას. მაგრამ როგორც კი გორბაჩოვის გარდაქმნამ შეასუსტა ხელისუფლებაზე კრემლის რკინისებრი კონტროლი, საბჭოთა სისტემა ჩამოიშალა. საბჭოეთს მემკვიდრედ ახალი და „რეფორმირებული“ რუსეთი მოჰყვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას არა მხოლოდ მოდერნიზება, არამედ დემოკრატიაც სურდა. დღეს ისტორიკოსების

უმრავლესობა ელცინის ხანას რუსული დემოკრატიის მწვერვალად მიიჩნევს, თუმცა ეს მხოლოდ იმითაა გამართლებული, რომ ყველა სხვა პერიოდი ამ მხრივ განუზომლად უარესი იყო.

დასავლეთს ვერ დავადანაშაულებთ იმისთვის, რომ ნორმალური ურთიერთობა სურდა თავის გიგანტურ მეზობელთან, თუმცა ფაქტია, რომ მათ არათუ ვერ აღმოფხვრეს, ვერც კი შეამჩნიეს ელცინის ვითომდემოკრატიის ფიასკო. ისინი უნდა დაეფიქრებინა რუსეთის მუდმივ ზენოლას და პირდაპირ აგრესიას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, რომლის მიზანი იყო არ დაეშვათ მათი „გაქცევა“ რუსეთის გავლენის სფეროდან. მრავალ ექსპერტს დღესაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, რასაც ისინი „ეთნოკონფლიქტებს“ უწოდებენ და მათში რუსეთის როლზე კავკასიასა თუ მოლდოვაში, მაგრამ რუსეთის მტრული დამოკიდებულება ამ რეგიონებში დაგეგმილი სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების მიმართ რუსეთის ჭეშმარიტი ზრახვების კარგი ნიშანი უნდა ყოფილიყო.

იმის მიუხედავად, გულწრფელი იყო თუ არა დემოკრატიული რეფორმების წარმატების სურვილი, ელცინის ხანა რეალური შედეგების მიხედვით უნდა შევაფასოთ: მისი მთავრობის ტოტალური კორუფციით, ორგანიზებული დანაშაულის ბატონობით და სილატაკით, რამაც, ერთად აღებულმა, რუსეთის მოსახლეობის თვალში დემოკრატიის სრული დისკრედიტაცია გამოიწვია. და ალბათ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა თავად პუტინია, რომელიც ელცინმა პირადად დასვა პრეზიდენტის სავარძელში. ელცინს უნდა სცოდნოდა, რომ პუტინის წარმომავლობის კაცი დემოკრატიის მეგობარი არ იქნებოდა, მაგრამ ეტყობა პუტინის და კგბ-ის კლანის მიერ მისი უეცრად გამდიდრებული ოჯახისთვის გაცემული უსაფრთხოების გარანტიები მისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე დემოკრატიის მომავალი.

დღეს ხშირად გაიგებთ ექსპერტების მოსაზრებებს, თუ როგორ მოხდა პუტინის ტრანსფორმაცია დასავლეთის პარტნიორიდან მის ოპონენტად. თუმცა ის, თუ რატომ მოეჩვენათ პუტინი პარტნიორად, ჩემთვის საკვირველია. ელცინისგან განსხვავებით, პუტინი არავის აჩვენებდა თავს, თითქოს დემოკრატიის ერთგული ყოფილიყო. ის თავიდანვე ენერგიულად იღვწოდა დემოკრატიის იმ მყიფე ელემენტების მოსაშლელად, რაც ელცინის ხანაში შეიქმნა.

თავის ავტორიტარულ სტილს პუტინი „სუვერენული დემოკრატიის“ მშენებლობით ამართლებდა და დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარების ნაცვლად „ძალაუფლების ვერტიკალი“ შექმნა. ქალაქებში პუტინის რუსეთიც დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკაა, მაგრამ სინამდვილეში პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება ისევეა თავმოყრილი კრემლში, როგორც ძველ დროს. განსხვავება ისაა, რომ ახლა პოლიტიკურს ნაცვლად „ძალაუფლების ვერტიკალის“ სათავეში კგბ-დან გამოსული პუტინის კორუმპირებული დაჯგუფებაა.

მისი საგარეო პოლიტიკაც საკმაოდ ნათელი იყო – პუტინი ღიად გამოხატავდა ნოსტალგიას საბჭოთა კავშირის მიმართ, რომლის დაშლასაც მან „მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა. პუტინის პოლიტიკას „ახლო საზღვარგარეთ“ არ უნდა დაეტოვებინა კითხვები მისი განზრახვის შესახებ, რომ ამოეშანთა დასავლეთის გავლენა და რეგიონში რუსეთის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტროლი აღედგინა.

არაერთმა ექსპერტმა თუ პოლიტიკოსმა დასავლეთში გადანყვიტა პუტინის ავტორიტარიზმისა და მზარდი საგარეო აგრესიისკენ შებრუნებისთვის საკუთარი თავი დაედანაშაულებინა – „ჩვენ შევაშინეთ რუსეთი ნატოს გაფართოებით, მუდმივად ვამცირებდით და სხვა გზა არ დავუტოვეთ, გარდა საკუთარი ინტერესების აქტიური დაცვისა“. გერმანიაში ასეთ ადამიანებს Die Russland-Versteher-ს („ვისაც ესმის რუსეთის“) უწოდებენ. ირონიაა, რომ სწორედ ამ ხალხმა გამოიჩინა თავი რუსეთთან დაკავშირებული არაკომპეტენტურობით ან ხშირად საკუთარი ქვეყნების ინტერესების ხარჯზე რუსეთის ინტერესების შეგნებული ლობირებით. ბოლშევიზმის ადრეულ ეტაპზე ლენინმა მსგავსი ადამიანები „სასარგებლო იდიოტებად“ მონათლა.

ლენინის სხვა ცნობილი გამოთქმის შესაბამისად – „კაპიტალისტები იმ თოქსაც მოგვყიდიან, რომლითაც მათვე ჩამოვახრჩობთ“ – პუტინი სიამოვნებით იყენებს დასავლელი პარტნიორების დახმარებას თავად დასავლეთის წინააღმდეგ უპირატესობის მოსაპოვებლად. როგორ შეიძლება აიხსნას, რომ რუსული გაზის ექსპორტის შედეგად ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში ჩამოყალიბდა აღქმა, რომ ისინი დამოკიდებული იყვნენ რუსეთზე? თანამშრომლობას გაზის სფეროში უნდა შეექმნა (უარეს შემთხვევაში) პარტ-



ნიორების ურთიერთდამოკიდებულების მდგომარეობა და არა ვითარება, რომელშიც მხოლოდ ერთი მხარე – ევროპაა დამოკიდებული მეორეზე. ეს არც ისე რთული უნდა ყოფილიყო – რამდენადაც ევროპისთვის არის საჭირო რუსული გაზი, იმდენად, მეტად თუ არა, სჭირდება რუსეთს სავალუტო შემოსავალი. უფრო მეტიც, მაშინ, როცა ევროპას შეუძლია რუსული გაზის ჩანაცვლება (თუნდაც უფრო ძვირით), რა შედეგებს მიიღებდა რუსეთი, თუ ის გაზის მიწოდებას შეუწყვეტდა ევროპას? არარეფორმირებული ეკონომიკის პირობებში რუსეთის ბიუჯეტი კვლავაც დიდწილად ნავთობის და გაზის გაყიდვით მიღებულ შემოსავალზეა დამოკიდებული. მაშინ, როცა ნავთობის გადამისამართება ახალ ბაზარზე შედარებით ადვილია, ბუნებრივი გაზის ახალი მომხმარებლის პოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორც სულ ბოლო დროს გახდა აშკარა, ჩინეთი ვერ და არ გახდება ალტერნატიული ბაზარი – ჩინეთი არ აპირებს ინვესტირებას მრავალმილიარდიან მილსადენში, რომელიც საჭიროა რუსული გაზის მის საზღვრამდე მისატანად. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩინეთს გაზის სხვა წყაროებიც უხვად აქვს და ამიტომ რუსულ გაზში იმდენს არ გადაიხდის, რომ ეს გაზპრომისთვის კომერციულად გამართლებული იყოს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც ევროპის გაზის პოლიტიკასთან დაკავშირებით კითხვებს ბადებს ისაა, თუ როგორ მისცეს რუსეთს საშუალება თითქმის მონოპოლიური პოზიცია შეექმნა მაშინ, როდესაც მის მიერ ევროპისთვის მიწოდებული გაზის საკმაო ნაწილი საერთოდ არ იყო რუსული. ის ცენტრალური აზიიდან საკუთარი ფასით ყიდულობდა გაზს და შემდეგ განსხვავებულ ფასად და დამატებითი პოლიტიკური პირობებით ყიდდა ევროპაში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროპის ქვეყნებმა თავად გადაიხადეს იმ თოკში, რომლითაც რუსეთმა ისინი კისრით დააბა გაზზე დამოკიდებულებაზე. ისინი წლების მანძილზე არა მხოლოდ ამდიდრებდნენ პუტინს, რაც მას უფრო აგრესიულს ხდიდა შინ თუ გარეთ, არამედ ხშირად მის ინტერესებს გამოხატავდნენ საერთაშორისო არენაზე. ბარაქალა პუტინის მოხერხებას!

დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთის ქვეყნების სამართალდამცავებმა ინტერესი უნდა გამოიჩინონ იმ მექანიზმების მიმართ, რითაც ეს უცნაური ვითარება გახდა შესაძლებელი – უკვე ბევრს ესმის, რომ რუსეთის უმთავრესი ექსპორტი დასავლეთში არის არა

გაზი, არამედ კორუფცია. ბოლო თვეების მანძილზე დასავლური მედია რეგულარულად აშუქებს საექვო წარმომავლობის რუსული ფულის ევროპაში გათეთრების ჩამოყალიბებულ პრაქტიკას. პუტინი ასევე წარმატებით ყიდულობდა მეგობრებს და გავლენას დასავლურ პოლიტიკურ ელიტაში, ბიზნესში, კვლევით ცენტრებსა და მედიაში. პუტინის ტაქტიკაში სიახლე ისაა, რომ ბოლო წლებში მან მარგინალური ევროპული პოლიტიკური ძალების დაფინანსება დაიწყო – როგორც უკიდურესი მემარჯვენეების, ისე ულტრამემარცხენეების. თუმცა, პუტინის ფულის დახმარებით ეს ძალები დღითიდღე ძლიერდებიან ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე.

ის ფაქტი, რომ პუტინმა ახალი რუსეთის ოფიციალურ იდეოლოგიად ანტიდასავლური, ანტილიბერალური, ჰომოფობიური და ქსენოფობიური პრინციპები აქცია, კიდევ უფრო პარადოქსულს ხდის მის წარმატებას ევროპაში.

ანტიდასავლური სენტიმენტები არახალია რუსეთში, მაგრამ ამგვარი იდეების კულტივაცია ესოდენ წარმატებული საბჭოთა დროსაც კი არ ყოფილა. სახელმწიფო კონტროლით მოქმედმა ტელევიზიებმა და სხვა მედიასაშუალებებმა რუსებისთვის პარალელური რეალობა შექმნეს. როგორც სტალინის დროს, მათ სჯერათ, რომ რუსეთი ალყაშემორტყმული ციხესიმაგრეა, ოღონდ ამჯერად – მართლმადიდებლური მორალის დამცველი ზნედაცემული დასავლეთის შემოტევისგან. რუსული მედიისთვის ცრუ ამბების გამოგონება სიძულვილის საკვებად ჩვეულ პრაქტიკად იქცა. შედეგად, თავდაყირა დაყენებულ დღევანდელ რუსულ პოლიტიკურ სისტემაში კრემლი არა მხოლოდ ქმნის პოლიტიკურ დღის წესრიგს, არამედ მძლავრი პროპაგანდისტული მანქანის მეშვეობით თავად განსაზღვრავს უბრალო მოქალაქის, მასის, პოლიტიკურ დაკვეთას. ამრიგად, ხალხს ასწავლეს ისურვონ ის, რასაც პუტინი აკეთებს (თუნდაც მათი ინტერესების საზიანოდ).

რამდენიმე წლის წინ რუსული პროპაგანდის წარმოებამ ქეშმარიტად გლობალური მასშტაბი მიიღო, როდესაც კრემლმა მრავალმილიარდიანი საერთაშორისო სამაუწყებლო პლატფორმა Russia Today დააფუძნა. ის მალე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი ტელევიზია გახდა. ხაზგასასმელია, რომ საბჭოთა პროპაგანდისგან განსხვავებით, RT და სხვა რუსული სამთავრობო მე-

დიასაშუალებები ბევრად უფრო დახვეწილი და ეფექტური არიან როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ. ბუნებრივია, რომ ამ წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ დასავლეთი რეალურად არასდროს ჩართულა პროპაგანდისტულ ომში, რომელსაც რუსეთი მის წინააღმდეგ აქტიურად აწარმოებს.

უფრო მეტიც, დასავლეთს დიდი ხნის განმავლობაში იმის აღიარებაც არ სურდა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში ფუნდამენტური პრობლემა არსებობდა. იმის მიზეზი, თუ რატომ ცდებოდა დასავლეთი ამდენი ხნის მანძილზე, ბევრია. ერთ-ერთი, ალბათ, ზოგიერთი ექსპერტის თავდაჯერებით გამწვავებული უცოდინრობაა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათთვის რუსეთის აგრესია ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ უკრაინაში მოულოდნელი აღმოჩნდა. ეს იმის მიუხედავად, რომ მოსალოდნელი ომის შესახებ ნიშანი და პირდაპირი გაფრთხილებაც უხვად იყო. როგორც დიპლომატი, ჯერ კიდევ 2006 წელს მე პირადად ვმონანილეობდი საქართველოს მთავრობის ძალისხმევაში აშშ-ის და ევროპელი პარტნიორების ყურადღების მისაპყრობად საქართველოს მიმართ პუტინის გეგმებთან დაკავშირებით. ჩვენ პირდაპირ ვაცხადებდით, რომ კოსოვოს აღიარებაზე პუტინი დასავლეთს საქართველოზე თავდასხმით უპასუხებდა. ერთ-ერთი მსგავსი შეხვედრისას ერთმა არცთუ დაბალი რანგის დასავლელმა დიპლომატმა განმიცხადა, რომ „მგელი, მგელის ძახილი თქვენს პოზიციას მხოლოდ დაასუსტებსო“.

როდესაც რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, მე ლონდონში ვმუშაობდი და ერთ-ერთი ტელეინტერვიუს დროს ვთქვი ის, რაც, სამწუხაროდ, სრულად გამართლდა: „რუსეთი დასავლეთთან კონფრონტაციის კურსს ადგას და რაც უფრო მეტად დააყოვნებს ევროპა რეაგირებას, გარდაუვალი შეჯახება ევროპის ტერიტორიის შიგნით უფრო ღრმად მოხდება და ის უფრო მტკივნეული აღმოჩნდება“.

თუმცა გაფრთხილებები, რომ თუ რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო საფასურის გადახდა არ მოუწევდა, მისი შემდეგი სამიზნე უკრაინა გახდებოდა, ჩვენზე უფრო ავტორიტეტული ადამიანებისგანაც მოდიოდა.

ერთ-ერთი მათგანი იყო ედვარდ ლუკასი, ჟურნალ „ეკონომისტის“ უფროსი რედაქტორი. ჯერ კიდევ 2007 წელს მან გა-

მოაქვეყნა ნიგნი „ახალი ცივი ომი“, რომელიც რუსეთის ზრახვებს ააშკარავებდა, თუმცა მაშინ ლუკასი ბევრმა პანიკის დათესვაში დაადანაშაულა. უნდა დავეთანხმო მის აზრს, რომ დასავლეთის უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ უსმენენ მათ, ვისი ანალიზიც, როგორც წესი, მცდარი აღმოჩნდება ხოლმე და არ უსმენენ მათ, ვისი მოსაზრებებიც სისტემატურად და სრულად გამართლებულა.

ის, რომ მცდარ აზრს ევროპა ხშირად საკუთარი ნებით უსმენს, ნათლად ჩანს ერთი ცნობილი ფრანგი ანალიტიკოსის მოსაზრებიდან, რომელმაც ბრძანა, რომ რადეკ სიკორსკი, პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ვერ გამოდგებოდა კეტრინ ეშტონის შემცვლელად (ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელის პოსტზე 2014 წელს). მისი მთავარი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ სიკორსკი, რომელიც რუსეთისადმი პრინციპული მიდგომით იყო ცნობილი, პოლონელია, ხოლო პოლონელი ხალხის ცნობიერება დღესაც მათი ტრაგიკული ისტორიიდან მიღებული ტრავმითაა აღბეჭდილი. ანუ ამ ექსპერტის მსგავს ადამიანებს ურჩევნიათ, რომ ევროპის საგარეო პოლიტიკას უხელმძღვანელოს ისეთმა ადამიანმა, ვინც რუსეთის ისტორიის ცოდნით არაა „დამძიმებული“ და ვისაც მოსკოვი ადვილად გააბრიყვებს და გამოიყენებს.

დღეს ისინიც კი, ვინც თავის დროზე აშშ-ის რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკა შეიმუშავეს, ამ პოლიტიკის სრულ კრახს აღიარებენ, მაგრამ მაშინ, როდესაც ის რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიიდან რამდენიმე თვეში გამოცხადდა, რუსეთმა აღიქვა სიგნალად, რომ აშშ მზად იყო მეზობლების მიმართ მისი აგრესია უპასუხოდ დაეტოვებინა.

ვფიქრობ, რომ დროა მოვუსმინოთ მათ, ვინც დაამტკიცა, რომ რუსეთის და ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოს შესახებ უკეთესი ცოდნა აქვს. ქვემოთ ჩამოვთვლი, თუ, ჩემი მოკრძალებული აზრით, რა უნდა ესწავლა დასავლეთს ამ ბოლო დროის მანძილზე.

თუკი 2008 წლის შემდეგ კიდევ არსებობდა კითხვა იმის შესახებ, თუ რა სურს რუსეთს, უკრაინის მოვლენებმა მას ყოვლისმომცველი პასუხი გასცეს. 2013 წლამდე რუსეთს უკრაინის სახით იდეალური პარტნიორი ჰყავდა. ორ ერს მჭიდრო ისტორიული და კულტურული კავშირი აქვთ, უკრაინის პრორუსულმა ლიდერმა ქვეყანას უარი ათქმევინა ნატოსთან თანამშრომლობაზე და, რაც

რუსეთისთვის ძალიან ხელსაყრელია, კორუმპირებული და მოსკოვის მიერ ადვილად სამართავი იყო. იანუკოვიჩის ერთადერთი „ცოდვა“ რუსეთის მიმართ ის იყო, რომ მან ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის და დიდნილად სიმბოლური ასოცირების შეთანხმების გაფორმება სცადა. ეს შეთანხმება არაფრით იყო სახიფათო რუსეთისთვის, ის უკრაინას მხოლოდ საშუალებას მისცემდა განეფითარებინა ვაჭრობა ევროპასთან და გაეუმჯობესებინა საინვესტიციო გარემო (მათ შორის – რუსული კაპიტალისთვის).

რაც ამას მოჰყვა, ნათლად აჩვენებს პუტინის სამეზობლო პოლიტიკის არსს: თუკი ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ მიზნად ისახავს სტაბილური, დემოკრატიული და ეკონომიკურად წარმატებული სამეზობლოს უზრუნველყოფას ევროპისთვის, რუსეთს სურს გარემორტყმული იყოს ღარიბი, კორუმპირებული, ავტორიტარული და რეალურად შეუმდგარი ქვეყნებით, რომელთა მიმართ დასავლეთი ყოველგვარ ინტერესს დაკარგავს, ხოლო რუსეთს მათზე გავლენას გაუადვილებს. მაშინ, როცა მასთან ინტეგრაციისთვის ევროპა ასპირანტ ქვეყნებს მრავალ წინაპირობას და კრიტერიუმს უყენებს, რუსეთი მზადაა გამოიყენოს ძალა იმის მიმართ, ვინც მისი გავლენის სფეროდან გაქცევას შეეცდება.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც, ჩემი აზრით, პუტინის მცდელობა, შეაკონწინოს ახალი რუსული იმპერია, მარცხით დამთავრდება და იმასაც დაკარგავს, რაც დღეს აქვს, ისაა, რომ მან ყველაზე უვარგისი მისაბაძი მოდელი აირჩია რუსეთის ისტორიიდან. რუსეთის ლიდერებს შორის პუტინი ყველაზე მეტად მეფე ნიკოლოზ I-ს მაგონებს, რომელიც ისტორიაში თავისი კონსერვატიული შეხედულებებით შევიდა და რომლის მმართველობა აღნიშნული იყო ექსპანსიით და ოპონენტების რეპრესიებით. პუტინის მსგავსად, ის პასუხისმგებელი იყო ეკონომიკურ სტაგნაციაზე, ღრმა ფინანსურ კრიზისზე, უვარგის ადმინისტრაციულ პოლიტიკასა და სრულად კორუმპირებულ ბიუროკრატიულ აპარატზე. მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზისგან განსხვავებით პუტინმა ყირიმში ჯერჯერობით წარმატებას მიაღწია, ვინანასწარმეტყველებ, რომ ჯამში უკრაინაში ომი მას ძალიან ძვირად დაუჯდება. არ გამიკვირდება, თუ წლების შემდეგ პუტინის მმართველობას ისევე შეაფასებენ, როგორც ეს

ნიკოლოზ I-ის ერთ-ერთმა დაახლოებულმა მოხელემ თქვა: „ნიკოლას ალექსანდროვიჩის მეფობის მთავარი წარუმატებლობა ის იყო, რომ ის მთლიანად შეცდომა იყო“.

უინსტონ ჩერჩილმა ერთხელ თქვა, რომ ამერიკელები ყოველთვის სწორად მოიქცევიან... მას შემდეგ, რაც ყველა ალტერნატივას ამონურავენო. მგონია, რომ ამერიკელებმა და ევროპელებმა უკვე ამონურეს ყველა ალტერნატივა რუსეთთან ურთიერთობაში და მოვიდა დრო, რომ სწორად იმოქმედონ – გადავიდნენ რუსეთთან პრაგმატულ, მაგრამ პრინციპულ ურთიერთობებზე. პუტინი მხოლოდ მაშინ გაჩერდება, როცა ნახავს, რომ მის აგრესიას შედეგად არა დივიდენდები, არამედ მიძიმე საფასური მოჰყვება. მანამდე კი ვერც რუსეთის მეზობლები და ვერც თავად ევროპა უსაფრთხოდ ვერ იქნებიან.